ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №325241

ნომერი: AR175031

თარიღი : 22.08.2012

გაცემის თარიღი : 18.09.2012

გაცნობის თარიღი : 18.09.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გაგრის , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ბარნაბიშვილი პ/ნ 01009010768
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. კორ. 2 ბ. 35

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 14 ივნისის №216023 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სამსახურს 2012 წლის 22 აგვისტოსს №AR175031 განცხადებით მომართეს შპს "აისბერგ თბილისი"-ს

დირექტორმა გიორგი კაჭარავამ და მოქალაქე ირაკლი ბარნაბიშვილმა და მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 14 ივნისის №216023 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ ტბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 14 ივნისის №216023 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი -გლდანი, გაგრის ქ. #2-ში (ნაკვეთი #003/051), შპს "NEW TRADE 2011"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი #01.11.03.003.051), არსებული შენობების (სამაცივრე-სასაწყობე კომპლექსი) რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 15 ივნისიდან 2013 წლის15 მარტის ჩათვლით.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერიდან (რეგისტრაციის #882012308674 თარიღი 02/07/2012 წ.) დგინდება, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს დღეის მდგომარეობით წარმოადგენს შპს "აისბერგ თბილისი", შესაბმისად ითხოვს დამკვეთის ცვლილებას, რის თაობაზეც წარმოდგენილი იქნა ძველი დამკვეთის დავით ჭუბაბრიას თანხმობა.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 20-ე მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილების განხორციელება და დამკვეთად დავით ჭუბაბრიას ნაცვლად მიწის ნაკვეთის დღევანდელი მესაკუთრის შპს "აისბერგ თბილისი"-ს დაფიქსირება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, 51-ე, 52-ე, 63-ე, 95-ე, 96-ე და მე-100 მუხლების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება სამსახურის 2012 წლის 14 ივნისის №216023 ბრძანებაში, კერძოდ: დამკვეთად დავით ჭუბაბრიას ნაცვლად დაფიქსირდეს შპს "აისბერგ თბილისი";
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას სამსახურის 2012 წლის 14 ივნისის №216023 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7)მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.